სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

51946474086418

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180395651

რეგისტრაციის თარიღი

13.04.2018 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ცამეტ აპრილს, მე-**ციური ბერიძეს**, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **ემერ მუსელიანმა** (დაბ. 29.06.1950 წ, პირადი № 01025019282, რეგისტრიებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 14-16, ბინა 28).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს **"ნიუ აუტო მოტორსი"**-ს (ს/კ 405078197) შესახებ, გაცემული 26/01/2017 11:04:02 მდგომარეობით, რეგისტრაციის ნომერი B17009990, რის საფუძველზე დავადგინე, რომ ის არის არის აღნიშნული საზოგადოების დირექტორი და პარტნიორი. მისი სურვილი როგორც შპს **"ნიუ აუტო მოტორსი"**-ს წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს **ივერი შელეგიას**.

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე დავალების გარიგებას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ცამეტ აპრილს, ქალბატონმა **ემერ მუსელიანმა** (დაბ. 29.06.1950 წ, პირადი № 01025019282, რეგისტრიებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 14-16, ბინა 28), როგორც შპს **"ნიუ აუტო მოტორსი"**-ს (ს/კ 405078197) დირექტორმა და პარტნიორმა, 100 %-იანი წილის მფლობელმა სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **ივერი შელეგიას** დაბ. 1985 წლის 22.11, პირადი № 01025018304 , რეგისტრირებული ქ. თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 64 ბ. 3)

იყოს შპს **"ნიუ აუტო მოტორსი"**-ს სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად, კერძოდ:

1. საზოგადოების სახელით შეიძინოს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში უძრავი და მოძრავი ქონება, რომლის პირობები და ხარისხი განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ. იყოს წარმომადგენელი უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, ნებისმიერ უძრავ ქონებაზე ამონაწერის მიღების და გარიგებების დადების უფლებით. გააუქმოს აღრე დადებული გარიგებები.

2. სესხებისა და კრედიტის აღება ნებისმიერი საბანკო და მიკროსაფინანსო დაწესებულებებიდან, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენა, იპოთეკით დატვირთვა, გირავნობა, გაქირავება, იჯარით გაცემა, ხელის მოწერა შესაბამის დოკუმენტაციაზე. შპს **"ნიუ აუტო მოტორსი"**-ს სახელით დადოს ნებისმიერი გარიგება, მათ შორის ნებისმიერი ოდენობით აიღოს სესხი/კრედიტი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთოს საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება. ისარგებლოს სხვა საკრედიტო პროდუქტით (ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა), საზოგადოების სახელით თავისუფლად განსაზღვროს საკრედიტო პროდუქტით მომსახურების, სესხის და სხვა ხელშეკრულების პირობები.

3. მართოს და განკარგოს საზოგადოების სახელზე საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიში/ანაბრი, რაც მოიცავს ნაღდი თანხის მიღებას, შეტანას, გადარიცხვას, გადაგზავნას, კონვერტაციას, ყველა ტიპის ანგარიშის გახსნას და სხვა საბანკო ოპერაციებს. ინფორმაციის მიღება ნებისმიერ საბანკო ოპერაციაზე არსებულ და ახლადგახსნილ ანგარიშებზე. საჭიროების შემთხვევაში გახსნას ან დახუროს უკვე გახსნილი ანგარიში, მიიღოს ამონაწერი, ცნობები დავალიანების შესახებ ყველა საფინანსო/საბანკო ინსტიტუტიდან, გადაიხადოს გადასახადები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციაზე, მათ შორის საარბიტრაჟო დათქმაზე, დაამზადოს და მიიღოს პლასტიკური ბარათი, მათ შორის დაკავებული ბარათი, განახორციელოს ფულად/გზავნილებთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია, კანონით ნებადართული ყველა მოქმედება და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი საბანკო პროდუქტით. მოახდინოს ინტერნეტ ბანკისა და მობაილ ბანკის მეშვეობით ფულადი ოპერაციების ჩატარება. გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები აღნიშნულ მომსახურეობებზე.

4. ნებისმიერი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებიდან ნებისმიერ საფუძველზე თანხების, ვალების, საგადასახადო დავალების და საგარანტიო დეპოზიტების მოთხოვნა და გადახდევინება, აღნიშნულთან დაკავშირებული შესაბამისი ვალის გადახდის ხელწერილების გაცემა.

5. სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა

6. სააგანტოებში, კომისიებში და წარმომადგენლობით ორგანოებში ჩართვა, აგენტების კონტრაგენტების, გამყიდველების და რეალიზაციის მიზნით წარმომადგენლების სამუშაოზე მიღება და განთავისუფლება

7. ტენდერის პირობების განსაზღვრა ზოგადად

8. მონაწილეობა სავაჭრო აუქციონებში, კერძო ტენდერებში მიწოდების კონტრაქტების მისაღებად ან სხვაგვარად ჩართვა და მოქმედება საზოგადოების სახელით შესაბამისი აქტების, პირობების განსაზღვრისათვის და მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა იმ დავებში რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას აღნიშნულის შედეგად

9. კომპანიის წარმოდგენა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერი სამთავრობო, ადგილობრივი და მუნიციპალური ორგანოს, იუსტიციის სახლთან,

ქარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, სანოტარო ბიუროში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, საბაჟო ტერმინალში, ნებისმიერი სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების, ელექტროენერგიის, დასუფთავების სამსახურებში, საფოსტო, ტელეგრაფის და საკომუნიკაციო დაწესებულებების, საბაჟო სამსახურის წინაშე, საქონლის გაგზავნასთან, გადაცემასა და მიღებასთან დაკავშირებით, შესაბამის ზედდებულებზე ხელის მოწერა საქონლის ჩამოსვლისას, ნებისმიერი შესაძლო პრეტენზიის ან მოთხოვნის წარდგენა.

საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებსიმიერ ხელშეკრულებებს, შეთანხმებას, დანართს, მოიწონოს უკვე დადებული ხელშეკრულებები საზოგადოების სახელით მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებებში ნებისმიერი ხელშეკრულების პირობების თაობაზე, რაც უნდა დაიდოს საზოგადოების მიერ თავისი საქმიანობის ფარგლებში. განახორციელოს ცვლილებები ან გააუქმოს უკვე დადებული ხელშეკრულებები.

10. იყოს პარტნიორის სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით დადგენილი ყველა იმ უფლებით, რომელიც აქვს მარწმუნებელს, როგორც შპს-ს პარტნიორს. რათა მონაწილეობა მიიღოს შპს "შტედო" -ს (ს/კ 405182788) პარტნიორთა კრებაზე, ხმის მიცემის უფლების, შეუზღუდავად გადაწყვეტილების მიღების, შესაბამის დოკუმენტაციაზე /პარტნიორთა კრების ოქმზე, გადაწყვეტილებაზე/ ხელმოწერის უფლებით. მოიწონოს დირექტორის მიერ წინამდებარე მინდობილობის გაცემის თარიღამდე ან/და მომავალში გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და საზოგადოების წესდებით პარტნიორისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

11. ნებისმიერი დაზღვეული წერილის – საფოსტო გზავნილის და სარკინიგზო გზავნილის და ნებისმიერი სახის ექსპრეს ფოსტის მიღება

12 საზოგადოების/ კომპანიის/ წარმოდგენა ნებისმიერი ადმინისტრაციული, საგადასახადო და იურიდიული ორგანოს წინაშე / აგრეთვე აკრძალვის, ჩამორთმევის და გაუქმების პროცედურებში/ იურიდიული მრჩეველებისა და ადვოკატების დანიშვნა

13. აღმკვეთი და აღსრულების აქტების წარდგენა, მათზე ზედამხედველობის დაწესება და საჭიროების შემთხვევაში გაუქმება, მონაწილეობა გაკოტრებასთან, მორიგებასთან და დროებით მმართველობასთან დაკავშირებულ პროცედურებში და შესაბამისი დეკლარაციების წარდგენა

14. არბიტრაჟში მორიგებისა და კომპრომისის მიღწევა

15. საზოგადოების /კომპანიის/ წარმოდგენა ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, სახელმწიფო კომპანიებში, საბაჟო და ტრანსპორტირების პროცედურების საწარმოებლად, ასევე შესაძლო მოთხოვნების და შუამდგომლობების წარდგენა ზემოთხსენებული დაწესებულებებისათვის, შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელის მოწერის უფლებით.

16. საზოგადოების /კომპანიის/ წარმომადგენლებისათვის ან თანამშრომლებისათვის ზემოთაღნიშნული გარკვეული ქმედებებისათვის უფლებამოსილების გადაცემა სრულად ან ნაწილობრივ, კანონის მოთხოვნის შესაბამისად დამოწმებული აქტის მეშვეობით. /უფლებამოსილების გადანდობის ნებართვა/

17. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე დავალების ხელშეკრულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

18. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ დავალების გარიგებაში, მაგრამ აუცილებელია შპს "**ნიუ აუტო მოტორსი**"-ს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად, შესაბამისი ქვეყნის, რესპუბლიკის, რეგიონის კანონმდებლობის შესაბამისად.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს განუსაზღვრელი მოქმედების ვადით.

მინდობილობის ხელშეკრულება ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 52.5 -მუხლის საფუძველზე – 20 ლარი, მუხლი 39 – ის საფუძველზე – 2 ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-3.60 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 –ე მუხლის თანახმად. სულ 25.60 ლარი

ნოტარიუსი ციური ბერიძე

შეკერილია და დანომრილია

ფურცლად

ნოტარიუსი